www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი

2022 წლის იანვარი-ივნისი

(წინასწარი შედეგები)

19.07.2022 | www.geostat.ge

19.07.2022

ადგილობრივი ექსპორტი
(ექსპორტი რეექსპორტის გარეშე)
2022 წლის იანვარი-ივნისი

2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 2 558.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 35.6 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 73.5 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.3 პროცენტით გაიზარდა და 1 880.6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შესაბამისი მაჩვენებლების განვითარების ტენდენციას 2017-2022 წლებში:

ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2017-2022 წლების იანვარ-ივნისში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

19.07.2022

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი 2017-2022 წლების იანვარ-ივნისში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

**პროცენტით მოცემულია ადგილობრივი ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წილი მთლიან ექსპორტში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოდან 2020-2022 წლებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის მონაცემები თვეების მიხედვით, ასევე მათი პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით:

საქართველოდან განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტი

		მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2020	იანვარი	177.8	13.0
	თებერვალი	164.3	-9.0
	მარტი	192.1	-7.9
	აპრილი	172.7	-6.3
	მაისი	181.0	-8.2
	ივნისი	192.0	5.0
	ივლისი	192.1	2.7
	აგვისტო	204.4	12.8
	სექტემბერი	245.2	26.9
	ოქტომბერი	237.4	21.3
	ნოემბერი	225.7	3.2
	დეკემბერი	224.3	-5.3

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.07.2022

		მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2021	იანვარი	166.5	-6.4
	თებერვალი	200.0	21.8
	მარტი	238.0	23.9
	აპრილი	276.9	60.3
	მაისი	240.0	32.6
	ივნისი	258.1	34.4
	ივლისი	280.5	46.1
	აგვისტო	236.3	15.6
	სექტემბერი	270.3	10.2
	ოქტომბერი	318.3	34.1
	ნოემბერი	325.2	44.1
	დეკემბერი	317.6	41.6
2022*	იანვარი	231.5	39.1
	თებერვალი	324.3	62.2
	მარტი	329.6	38.5
	აპრილი	322.1	16.3
	მაისი	389.9	62.4
	ივნისი	283.1	9.7

*წინასწარი მონაცემები.

19.07.2022

2022 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 81.6 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: ჩინეთი (376.2 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (240.2 მლნ. აშშ დოლარი) და ბულგარეთი (224.1 მლნ. აშშ დოლარი).

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

ქვეყნის დასახელება	2021 წლის იანვარი-ივნისი		2022* წლის იანვარი-ივნისი		ცვლილება (%)
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**1 379.5**	**100.0**	**1 880.6**	**100.0**	**36.3**
მათ შორის:					
ჩინეთი	274.0	19.9	376.2	20.0	37.3
თურქეთი	156.2	11.3	240.2	12.8	53.8
ბულგარეთი	122.3	8.9	224.1	11.9	83.3
რუსეთი	239.5	17.4	223.6	11.9	-6.7
აშშ	63.3	4.6	141.1	7.5	122.8
სომხეთი	54.9	4.0	87.0	4.6	58.5
პერუ	6.9	0.5	86.7	4.6	1 161.7
აზერბაიჯანი	44.9	3.3	61.0	3.2	35.7
უკრაინა	73.1	5.3	48.8	2.6	-33.3
შვეიცარია	32.4	2.3	45.5	2.4	40.7
დანარჩენი ქვეყნები	312.0	22.6	346.4	18.4	11.0

*წინასწარი მონაცემები.

2022 წლის იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 533.1 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 28.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები 295.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 15.7 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს აზოტოვანი სასუქები 165.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 8.8 პროცენტი).

19.07.2022

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

საქონლის დასახელება	2021 წლის იანვარი-ივნისი		2022* წლის იანვარი-ივნისი		ცვლილება (%)
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**1 379.5**	**100.0**	**1 880.6**	**100.0**	**36.3**
მათ შორის:					
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	391.0	28.3	533.1	28.3	36.4
ფეროშენადნობები	186.3	13.5	295.6	15.7	58.7
აზოტოვანი სასუქები	50.4	3.7	165.8	8.8	229.0
ყურძნის ნატურალური ღვინოები	103.4	7.5	99.4	5.3	-3.8
ელექტროენერგია	13.3	1.0	53.8	2.9	303.8
მინერალური და მტკნარი წყლები	66.5	4.8	44.7	2.4	-32.8
ოქრო	29.4	2.1	43.5	2.3	47.8
ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები	21.4	1.6	42.7	2.3	99.0
ტრიკოტაჟის ნაწარმი	35.5	2.6	42.5	2.3	19.7
თხილი და სხვა კაკალი	34.5	2.5	39.3	2.1	13.9
დანარჩენი საქონელი	447.7	32.5	520.0	27.6	16.2

*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია".

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:

- მოვლენა არ არსებობს;

* მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას ინფორმაციულ წყაროებში და მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში;

... მონაცემები კონფიდენციალურია.

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

შენიშვნა:

1. ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

2. ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს;

3. ინფორმაცია არ მოიცავს არაორგანიზებულ ვაჭრობას; ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს;

4. საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა და საბაჟო სტატისტიკა განსხვავებულად ახდენს სასაქონლო ნაკადების მოცვას. კერძოდ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ აისახება დროებითი დიპლომატიური სატრანზიტო და სხვა ანალოგიური სახის ტვირთები.

წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.

საკონტაქტო პირები:
მაკა კალანდარიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge